




სახტოთა
სოციალისტური
რესპუბლიკების
კავშირის

კონსტიტუცია
(ქირითადი კანონი)




მოქმედებს, ცოცხლოვს, მუშაობს
კონსტიტუცია ახალი —
ჩვენი ცხოვრების პროგრამა
და იღვწი მალალი!

ის ყველა ჩვენი მიღწევის
მართლაც სარგება მზიური,
არის ახლანა, სოციალისტური
ოცნების კაცობრიულის!

იგბა ჩვენი მომავლის
მუშაობა ჩაუქრობელი!
არის ხალხი და პარტია
მისი უკვდავი მოგებელი!

დიდება ხალხს და პარტიას, —
ვინც მას აკვანი ურწია!
გაუა მუვიდობას, კომუნისმს
და ახალ კონსტიტუციას!

უენ, წყალო, ჩაუქალი



— უკვდავების წყალოსა შემასმევდე! — ლაღინებდა ჩემს სას-
თუმალთან ჩამომჯდარი მეგობარი და ისევ თავისას მიმტკიცებდა:

— ღამიჯრე, მურმანს რომ ცოდნოდა ამ წყლის ამბავი, ცხრა მთას
იჭით არ გადაიკარგებოდა და ისე ღვთის ანაბარად არ დატოვებდა თავის
ახალმოყვანილ მეუღლეს.

— აბა!

— უკვდავების წყალი, ინდოეთში კი არა, ცაგერის რაიონში, ლაში-
ჭალაში ყოფილა, თურმე. იმ დალოცვლს სულ მეჭულუგუნით გამოჰყავს
ღვიძლიდან ყველანაირი ავადმყოფობა...

— იქ მისვლისათვის, ალბათ, ჯადოსნური ფარდავია საჭირო, არა?!

— არა, ფარდავებით ფრენა ახლა მოდაში აღარ არის, მანქანით სჭო-
ბია, შენი თავისფერი „ტიგულით“.

იმდენი მელაპარაკა ჩემი მეგობარი, იმდენი ცოცხალი მაგალითი მო-
მიყვანა, რომ გულდა-ნაბადი ავიყარით და ლეჩხუმის გზას დავადექით. სო-
ფელ ორბელამდე სულ ღიღინ-ღიღინითა და მაყვლის ჭამით ვიარეთ. ხან
ჩვენ ვეხმარებოდით რადიოს სიმღერაში და ხან რადიო გვეხმარებოდა.
სოფელ ორბელში, აფთიაქთან, ერთმა სანდომიანი სახის მოხუცმა აგ-
ვიწვია ხელი. ჩავისვით მანქანაში და არხეინად განვავარძეთ გზა.

— სადაური ბრძანდებით, ბიძია?!

— აქედანა ვარ, ორბელიდან.

— თქვენს სოფლამდე გზა არ ყოფილა ცუდი.

— ცუდი კი არა, კარგზე კარგია. ამ ათიოდე წლის წინ, ქუთაისისკენ
რომ გაემგზავრებოდით, ცოლ-შვილს ანდერძს ვუტოვებდით, — გზაზე
რომელი გადმოყუდებული კლდე დაგვიტანდა, არ ვიცოდით. ახლა კი, შე
კაცო, კლდე კი არა, ბუზი არ ავიფრინდება თავზე!

უეცრად ჩვენი მანქანა მთვრალი კაცივით შეტორტმანდა და ქვაზე გა-
მოდებულმა მაყუჩმა ხაფანგში გაბმული თავივით დაიწყო წუწუნე.

— ბიძია, თუ არ შეწუხდებით, მოგვეხმარეთ!

— კი, შვილო, ადვილი სამსახურია. — მოხუცებულმა მანქანის უკანა
ფარს მოხვია ორივე მკლავი და ხელის ურიკასავით შეათამაშა ჰაერში

— აგაშენა ღმერთმა! თქვენა ყოფლისხართ ყარამან ყანთელი!
რა ხელობისა ბრძანდებით?

— მკვდელი ვარ. მანქანების თრევაში ისე გამოვიჩქევე, რომ ვერც წა-
რმომიდგენია, თუ ჩვენს დაუხმარებლად შეუძლია ამ დალოცვის სიარუ-
ლი. ზედა წიფერჩში მოყვრები მყავს და ამ გზაზე მანქანის ჯიკაობით
მხარი მაქვს გადატყავებული. გზას კიდე გაუძღვებს კაცი, მაგრამ ხი-
ლია დანგრეული. იქ მისული მანქანა თითო ბავშვივით ხელში უნდა აიტატო
და გულში ჩაკრული გაიტანო მეორე ნაპირზე. იმ ხილზე, მანქანას კი
არა, თხას უჭირს გადასვლა.

მანქანა აღდევებულ ზღვაში ეულად შთენილი ნავივით ქანაობდა აღმა-
დალმა. ხან გზაზე წარმოქმნილ ორმოებში წაყოფდა ცხვირს და ხან —
ტლაპოთი გავეხებულ გუბურებში. ქვაგელასთან გაჭირვებული სახედა-
რივით შიბაჩინა წინა თვლები ქორივით აფოფრილ ქვას და კატეგორიული
უარი გავიციხადა შემდეგ მომსახურებაზე... საათნახევრის შემდეგ ვი-
ლდა მადლიანი მძღოლის წყალობით, სატვირთო მანქანამ ძლივს დაგ-
ვძრა აღვილიდან და სამშვიდობოს გავიყვანა.

— ამას რა უჭირს! აბა, თქვენ ძულურისკენ მიმავალი გზა უნდა ნა-
ხოთ. აი, ის არის, რაც არის. ამ ერთი თვის წინ ვიყავი, ღვიძლს კი მო-
უნდა, მაგრამ ჭაჭები მეთნაირად დამებეგვა უკან წამოსვლისას, რომ კი-
ნადამ სული მივაბრე მამაზეციერს.

— გულ-ღვიძლს თუ გზაში დატოვებს ადამიანი, მერე რაღას უნდა მო-
უნდეს ეს წყალი, ვერ გამიგია.

როდესაც პანსიონატ ლაშიჭალის აღმართზე შეიქაქანა ჩვენმა მანქანამ,
ქაქანის თავი აღარც ერთს აღარა გვქონდა. ნაცემმა და ნაბეგვმა ძლივ-
ძლივობით მოვატრიალე ენა და ჩემს მეგობარს შევკნაღვლე:

— მურმანო! უკვდავების წყალსა ლაშიჭალისასა მომაწვდიდე, მომიტან-
დე, შემასმევდე, ეგებ ცოტა მოვჯობინდე!

— ახლავე! — გამოძახა ნირწამხდარმა ჩემმა მეგობარმა და, კურკლით
ხელში, ოცამდე დამსვენებელს ამოუღდა უკან. უკვდავების წყალი ცრემ-
ლებივით მოწანწყარებდა დაჟანგული მილის სატურჩედან.

— ვცვლი ჩემს რიგს ახალ გაზეთზე! — მითხრა წინა რივიდან ერთმა
ფერმკრთალმა ახალგაზრდამ და მუდარით შემომამტკერდა. ახალი „ლელო“
გავუცვალე ერთ ტოლრა ლაშიჭალის წყალში. რამდენიმე ჰქიქის სულმო-
უთქმელად შესისი შემდეგ ირგვლივ მიმოვიხედე და ფერდობზე პატარ-

ძალივით კომწია ცხრა ფინურ სახლს მოვკარი თვალი. მათ გარშემო ქა-
ლალის ნაგლეგები, საყოფაცხოვრებო ნაგავთან ერთად, მყარად ბაღანი-
ვით მიმობნეულიყო.

— ნაგავი მაინც გაგეტანათ, თქვე დალოცვლებო! — მივმართე იქაურ
თანამშრომელს.

— ნაგვის გატანა აქედან კი არა, ცაგერიდან უჭირთ, წამლად რომ გინ-
დოდეთ, მთელს ჩვენს რაიონში ერთ ნაგვის მანქანას ვერც იმხვედა
ჩვენს კომუნალურ საწარმოთა კომბინატს ხუთი წელია ყელი აქვს გამო-
წეული, მაგრამ საბინაო-კომუნალურ სამინისტროს გული მაინც ვერ აუ-
ჩუყა...

— ერთი მანქანა ქვიშის მოტანა რაღამ გაგეკირვათ?! ნაგვს ზევიდან
წააყრადით!..

— მასე დაყარა, ბატონო, სოფელ ლასურიაშის კოლმეურნეობამ აზო-
ტი და იქვე გაჭიმა ფეხები ხეცურიანის ძროხამ.

— რატომ?

— მიირთვა უპატრონოდ დაყრილი აზოტი და იმიტომ, დაყრილ ქვიშას
ბნელ ღამეში ვილაც წამოართყამს ფეხს და ავე მერე პასუხი, ღმერთი!

— ახალი ჟურნალები ხომ არ წამოვიღია, მეგობარო? — მომვარდა
ერთი მოხუცებული და მუდარით შემომამტკერდა, — ორი კვირაა, მოვწ-
ყდი ქვეყანას!

— როგორ, სამკითხველო ან კლუბი არა გაქვთ?!

— არა, ბატონო! მოვეკლით ამ წვერიანი ანეკდოტების მოყოლით.
კლუბს ვინა ჩივის, ერთი ოთახი მაინც ჰქონდეთ გამოყოფილი, ჰადრავს
ან დომინოს ითამაშებდა კაცი!

... უკვდავების წყალი კი აგრძელებს თავის საქმეს. ვინ მოსთვლის, რა-
მდენი აბესალომი და ეთერი მოარჩინა ლაჭანურის მარჯვენა ფერდოდან
გამომდინარე, ამ მართლაც შესანიშნავმა წყალმა. ყოველდღიურად ას ორ-
მოცი დამსვენებელი ლოცავს ბუნების ამ საოცრებას და ჰაღლიერებით
ივსება, მაგრამ მართო ბუნების ნაბიძგები განა იქმარებს?!

P. S. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკოლმე-
ურნეობათაშორისო სანატორიუმების მშენებლობისა და ექსპლუატაციის
რესპუბლიკურმა გაერთიანებმა „საკოლმეურნეობათაშორისო სანატორი-
უმმა“ 1976 წელს მიიღო და ლაშიჭალაში ჩამოაყალიბა პანსიონატი. ამ
ერთი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი
ჯერ კიდევ ბევრია. უპირველესად კი უნდა გადაწყდეს გზის კაპიტალური
შეკეთების საკითხი, რაზედაც ჯერჯერობით არავინ ფიქრობს.


პალერიან მაშუაქალაშვილი

ნახ. მ. აბაშიძის



— სკოლის დამთავრების შემდეგ ბავშვი თავისი ხმობი
დარჩა სოფელში!

— ჰოდა, ეს უხარმახარი მოვლენა ქვეყანას უნდა გა-
ვაკაბინოთ!



— დედი, დიხსოვ: მარცხნივ უბაყიდველო მაღაზია, მარჯვნივ — უნივერსა

გაგიმხელთ: თემქის მცხოვრებნი მადლობელი ვართ მშენებლის ცაში ატყორცნეს კორპუსი — ქალაქის დამამშვენები!.. მორთეს, მოკაზმეს ბინები, ნამდვილად თავი გადადეს!.. წყეული წუთისოფელი მაინც გაგიჩენს სადარდელს. — ამ ულიფტობამ დაგვხოცა, ხალხად არ ვარგვართ სრულიად, საღამოს ათ საათიდან ყოველთვის გამორთულია!.. მეცხრე სართულზე ამსვლელებს ხელით გვიჭირავს გულია!.. თუკი ინფარქტებს გადავრჩით, — მიკროინფარქტი ცხადია!.. ამდენს ლომიც ვერ გაუძლებს, — ძუ იყოს, თუნდა ხვადია! ვისაც ეხება, მოგვხედოს, განა ბევრი რამ გვწადია?! ხარისხიანად იზრომონ, — ხ ა რ ი ს ხ ი ს წ ე ლ ი წ ა დ ი ა!

ვაკველ მებოგრებს

ბინაც კარგი ვაკვეთ, ადგილიც მომხიბლავია ძალიან, ვიცი, ერთი რამ გაწუხებთ — ზოგჯერ არ მოგვით წყალია! ის წყალი, თქვენ რომ ვაკლიათ, — გავტყდები ღმერთის წინაშე, — თემქაში ჩადის თქრიალით ჩემი მეზობლის ბინაში!.. კაცი დავკარგი კაცური, თუმცა, რა ჩემი ბრალია? — მოვიდნენ „სანტექნიკები“, ვერ შეაჩერეს წყალი!.. ღმერთი სახლმმართველს მიცოცხლებს, — მეტი არა მაქვს სურვილი!.. ჩვენ, ალბათ, წყალი წაგვლეკავს, თქვენ დაიხრჩობით წყურვილით!..

დასუფთავების ტრისტს

თემქიდან მოგესალმებით, თქვენი დანახვის ნატრული, არ გაწმენდილა ბუნკერი, — ისე გავიდა ზაფხული. როდესაც ქარი უბერავს (თემქაში მუდამ ქარია), — ვერ გავილია ფანჯარა, ვერ გავილია კარია!.. თუ თქვენ არაფერს გვიშველით, სხვას რაღა მოეკითხება?! — ლამის დაგვხარჩოს ნაგავმა, ლამის დაგვკვამონ ვირთხებმა!.. ჩვენ გწერთ, თქვენ არა გვპასუხობთ! — მოგვკლა დარღმა და ფიქრებმა!.. ნაგვის მანქანა თუ არ გყავთ, კატა გვაჩუქეთ, იქნება?!.



— ვაბრძელებ სადღერძელებს, ამხანაგებო! ზოგჯერ გაიხსენებენ ხოლმე, მიცვალებულმა ამდენი და ამდენი ჭიქა დაიბარაო... ჩვეულებრივ, ამ ბოლო დროს, რამდენ ჭიქას იბარებენ მიცვალებულები, ამხანაგებო?

— შვიდს!
— შვიდი ერთი, შვიდი ორი...
— ცხრას, ზურაბიჩ!
— ცხრა ერთი, ცხრა ორი, ცხრა სამი...

— ჩვიდმეტს!
— კარგი, კარგი! ისე ვიკითხე, თორემ არ დაუბარებია ჩვენს საყვარელ ზინაიდა ზურმუხტოვნას არაფერი, ენა ვედარ მოიტრიალა ბოლოს. და ვედარ დაგვიბარა, მაგრამ ვინც ზინაიდა ზანზალიკოვნას იცნობდა, ვისაც ზინაიდა ზახაროვნას მასპინძლობა ახსოვს, ან გაუგონია, დამერწმუნება, რომ ის ახლა იქაც ხარობს, ამხანაგებო!.. მადლობას გვცუბნება, რომ სუფრა ჰაიპარად არ ავბერტყეთ, არ ავშალეთ!..

— ჩვენ, კაცო, ქართველები მართო იმით კი არა ვართ, რომ პასპორტში გვეწეროს ჩვენი ეროვნება! ჩვენი პასპორტი ყანწია, ამხანაგებო! „პასპორტისტკა“ კი მთელი სუფრაა, ესე იგი, თქვენა ხართ! ეროვნული ბეჭედი კაცს ენაზეც უნდა ერთყას, აი, აქა, აი! არ იფიქროთ, ღვინო მალაპარაკებდეს! ღვინო რის ამლაპარაკებელია?! ასე რომ იყოს, ქვევრისნაირი თამადა მეორე არ იქნებოდა ამ ქვეყანაზე, მა-

გრამ თამადა დღეს მე ვარ! ცოტა კი გამიგრძელდა, მაგრამ დამოკლებას ისევ დავგრძელებ სჯობია! იცით, რა მინდა ვადღერძელო? მე ახლა, რატომღაც ზინაიდა ზალასტანოვნას დაბადების დღე მინდა ვადღერძელო! ჩვენ თითქმის ყველაფერი ვთქვით, დანატოვარი დავლოცეთ, ნათლია არ გამოგვიტოვებია და ნათლული, პაპიდასა და პერპერას შევეხმიანეთ, შინაურისა ვთქვით და გარეულისა, მაგრამ დაბადების დღე — ზინაიდა ზაზაევნას დაბადების დღეს ვენაცვალე — არ მიდღერძელებია!..

კაცო, ადამიანი დაიბადა! ზოგიერთი თამადა მართო გარდაცვალების დღესა და მართო მიცვალებულს ხედავს. მისთვის ეს ცხოვრება მართო მიცვალებაა, მართო „ვაია“ და მართო „გუია“.

მერედა, სიცოცხლე? სიცოცხლე, რომელმაც გარდაცვალებას დაასწრო! რა გუყოთ ჩვენ ამ სიცოცხლეს, ამ დაბადების დღეებს?! მივანდოთ დროს, მივანდოთ სიკვდილს წასალეკად? არა, ბატონებო! ჩვენი საყვარელი ზინაიდა ზამბახოვნა კი იყო იმის ღირსი. რომ სადღერძელოში გვერდზე არ ჩავუაროთ! ბოლოს და ბოლოს, ამ ქვეყანაზე, ადრე თუ გვიან, ყველა ხელმეორედ ვიბადებით და მოდით, ამხანაგებო, მე არ მინდა დავაცილო და... ამ მეორე ყანწით ჩვენი დაბადების დღესაც გაუმარჯოს!.. და კიდევ, იცით, რა მინდა? ბუნების ძალას ვთხოვ, ჩვენი დაბადების დღეებზე ზინაიდა ზიმზიმოვნას ეთქვას მომავალში ერთი პატარა თუნდაც ასეთი სიმღერა:

დაბადების დღეზე მოდი, ხალხში უნდა დამაფასო! გაუმარჯოს სიცოცხლეს და თქვენს გენიოს თამადასო!..

ჩვენს

სტუმრად

ქიანებთან

საქართველო
2023 წლის ივნისი



უკრაინის სატირული მორისტული ჟურნალი „**ჩარონი პირატი**“ („**წითელი წიხაბა**“) 1927 წელს დაარსდა. მოგვიანებით მას სახელწოდება შეიცვალა და „**პირატი**“ გახდა.

ჟურნალში თანამშრომლობდნენ გამოჩენილი უკრაინელი მწერლები — **ოსტაპ ვიწნიცა, იაროსლავ ზალანი, მიკიტა გომოლვანსკი, ალექსანდრე დროზდინო** და სხვები.

„**პირატი**“ აღზარდა შენაინზაგი მხატვარი-კრიტიკოს-ტიტების არაერთი თაობა.

უკრაინის ოცდაათი წლის მანძილზე ჟურნალს რედაქტორობს ცნობილი იუმორისტი და პუბლიცისტი **ფედორ გაბიჯანაი**.

წლებს „პირატი“ ნახევარი საუკუნის იუმორული იტირა. ამ თარიღთან დაკავშირებით, იგი **საბავშვო წიგნის ორდენით** დაჯილდოვდა.

პოლიტიკა უკრაინის დათვი და კრახანა

ამაგის, რომელსაც ახლა გეცხვებით, წუხელ წუხილით მოჰყვნენ ციყვები: თურმე ზღმამღვანელ ქველმოქმედ მანქანა, უნდა სიკეთით მიიღო მხარში იყო ცნობილი, ქვემოთბოლო გამოწერილობილი კრახანა გაინდა: — „მისუფარია მფარველი მარტო შემოქმედია საცოდავ საწირი... გთხოვ ამბობდი, მიწვევებით გთხოვ ამბობდი, მარტო დათვით, გადამარინის როგორც ზამთარს, მთლად პურაძეობი ნუ იტყვან, ძვირფასი დრუნა, — მსუხსის თაფლი, მარტოა ნუ ტყვან!“ მერე იფიქრა: — „იფიქრა და მარტო ვერაფერს გახდა, რა დასაძლავა, მსუხსი თხოვით მიიღე ტახთან?“ ასევე მოიჭრა: მარტო ისევ შეიპყრო გუმბა: „იფიქრა და დათურამ მიუწოდო მისიველს შუგანა? მგელთან მივიღე, სუბობა ვეფლას, სიცივის კაცია, მგლისგან მუდამ ელოდე მგლას!“ სირბილი კუბი მთლად გაუხეულდა: იყო სიბილთასან.

გუგათან.. კურდღლთან.. როცა ბუნებრივი განრდა ყურცობტა, აღმუვლა დათვი, თითქმის ვინმე ფერდელ უტყობტა: „ვინ მოგაგზავნა?! ისევე კრახანამ?! მარტო და ტახტი, მგელი, სიკოლო, თფორწერა ვაცო.. მესხლენე ვაგე, მიღებებში გავიფიქრა კაცი!.. შენ, ვისაც ლომის სირაუვე და სიმხე გუგევის, თქვი ირა კრახანა რა არის შენი? ჩამოფიქვი მჭარა, ბაცურგმას ნუ მომიწოდებ, თორმე გაითხრა საცოდავს თფითონვე“ იყოს ის დღე და ის წამი გრული კურდღლს ინფორტტა გაუბო გული.. მოკლდე ის რჩება იგვივის არსად: არ გავეზუნეთ კრახანას არსად!

უკრაინული ხალხური იუმორი

უკრაინული ხალხური იუმორი

ოქლიანი ციყვობება კლენტი: — რა მიგაბრუნებ? — ერთი მთლიან არავი და ორი კვერცხი! — ბევრი ზომ არ იტყვან! — განძობს იყოს ერთი კვერცხი და მთლიან არავი!

ბანოს ვითხარავა

— **მარნალა**, შენზე რომ ამბობენ, ცოლს კარტის თამაში ასწავლია? — განსვალე და, როგორც ზანა, კარგად მოიქცე: გასულ ორმა ბაბის ჩვენი ზღმამღვანელის ნაწვეფარი მიიღე.

უხვირი ნაპირი

— **ძიბ**, წიღეთ თვენი საფულე, ამს წინა ამოვიგარდა! — **გადლობო**, მგელი სხვა, შენ ავიღე, ჩოჩიხადა და წყარდოდა. — **მაგას** ჩისაგზავი არაფერია, ბიბია, სულ თორმეტი კაციო ავტია. — **მიუო** ბიბე.

სპირტიანი ურდის

— **ოქლი** ნაცო მბო შენდა კრახანას! — **რადი** ხარ? ცოლს ზომ არ შეგირაობ? ბავშვებს ვაყარ? — ცოტახეა ბიბე. — **მეფი**. — **პასუბობ** მეფერი. — **რადი** შენ. — **ზუსტად** იმდენი, რამდენი ზღმამღვანელს 33 სპირტიანი ურდის.



ჩინა-კაპულის უარღლები

ჩინა-კაპულის უარღლები


ამინდ დღეა. ჩინა-კაპულის უარღლები შეზღოდა მოქალაქე და გამოფიქვლს თავი-ზიანად მიმართავს: — **კრახანა ვერცხობ?** — **ვვარკობო**, რას იტყვებო? — **მანქანური კლდე ზომ არ ვაქნებო?** — არა, არა ვაქვებს. — **იტყვან საიდუმლო კლდე გინდებო?** — არც საიდუმლო ვაქვებს. — **კელოლი მარხი ჩვეულებრივი კლდე მოგეცო!** — ბოლოში, პატვიცემული, მაგრამ არც ჩვეულებრივი კლდე ვაქვებს. — **გამოწო**, რომ არცერთი ხახის კლდე არა ვაქვები.. — რაც არა ვაქვებს, არა ვაქვებს. — **ღურხმარხი მარხი არა ვაქვებო?** — არა. — **არც ბრტელუტარა?** — არც ბრტელუტარა. — **ჩაქუნი?** — არც ჩაქუნი. — **ქლიბო თუ ვაქვებო?** — არც ქლიბო ვაქვებს. ამ ფარღლები უკვე ნახებერი წელსწავლია, რაც ჩინა-კაპულის საერთოდ არ მოუტყობია. — **მამ რატომია ფარღული ლა?** — **მიიტობ**, რომ კლდე არა ვაქვებს.

თ ა გ ე ი

გულადი თვევი სოროდან აწორტყებდა კატას: ბასტარტყელებიანს, ავზნიანს, ბრალდვას სდებდა აიასს. რას მიაღწერა, რას გახდა, აღარ იციოთავთ ახლა? — გაუშვებენ ფეხები, რიფორტ ამბობტა მალა..

ზორის სოფლისაბი

პოლიტიკა უკრაინის



სულიკო რომ კაცს შეუჩნდება, წასულია მისი საქმე — სულს ამოძრობს, სანამ თავისას არ გაიტანს. იმ დღეს აიჩნემა, ძაღლების გამოფენაზე წავიდეთო. რა შვილი ვიყავი, არ წავყოლოდი?!

პო, პო, რაც მე იქ ძაღლები ვნახე! ჩემს სიცოცხლეში იმდენი ძაღლი ერთად არ მინახავს! არც იმდენი ძაღლის მედელი მინახავს. სულიკო ხომ ლამის სულ გაგიჟდა:

— ეს არის დოგი, ეს სეტერი, ეს პოინტერი...

— იფ, უპ, უპ, ვაპ, ვაპ, — კაი ბიჭი ვიყავი და, არ ვივარაუდებდი.

— ეს არის კავკასიური ნაგაზი!

— რომელი, ეს ბანჯგვლიანი?

— პო, აი ეს!

— უპ, შენი ჭირიმი! არ ეტყობა თუ!..

— ეს რაღაა? — დავინტერესდი.

— ბიჭო ხომ გითხარი, ეგ არის დოგი! — გამიწყრა ჩემი განმანათლებელი.

— მერე, რას ჩამოსტირის ცხვირ-პირი?!

— ჩამოსტირის კი არა, ჭიში აქვს მაგის-

თანა! — ისევ შემომწყრა სულიკო.

— კაი ჭიში ჰქონია! — „დავეთანხმე“, მაგრამ აქ კი იფეთქა ჩემმა და ძაღლების მეგობარმა:

— შენ იცი, დოგის ჭიშის ისტორია? შენ იცი, რომ მაგისი მამა-პაპის-პაპის-პაპის და იმთ იქითაც, სახელები ცნობილია?!

— კაი ახლა, ნიკოლოზ მეორე ხომ არაა, ბიჭო, ეგ ძაღლი? — ვცადე შერიგება.

— ნიკოლოზ მეორე ვინ მამაძაღლია ამასთანა? — მთლად გადაირია სულიკო.

— ერთი ეგ არა მამაძაღლი! — მეც გავბრაზდი.

— მაინც რამ შეგაძულა ასე ძაღლები?

.. მაშინ იმ ასაკში ვიყავი, როცა... მოკლედ, მახე კი არაა საქმე, მეც მიყვარდა ერთი გოგო ამქვეყნად. მიყვებოდა გვერდით... ახლა რომ



კისერზე ჩამოეპორწილებიან ბიჭები გოგოებს, ისე კი არა! მეტლურტულება ჩემი გულის მურაზი და ზურგზე კი ჭიანჭველებს დოდი აქვთ გამართული. რაღაც ეშმაკად დავიხარე, კენჭი ავიდე და ბუჩქებში ვისროლე. თქვენ მტერს, მე დღე დამადგა: ერთი წკმუტუნითა და წკავწკავით გამოვარდა იმ ბუჩქებიდან ძუკნა და წაწანწალდა.

— მხეცო! ნაღირო! ეს რა ჩაგიდენია?! — დაიმეხა ჩემი გულის ვარდი.

— უპ, უკაცრავად, შემთხვევით!.. — დღესაც არ ვიცი, ვის მოეფხანდ ბოდიში, იმ ძუკნას, თუ...

— შემთხვევით კი არა. შენ სულ ვგფთი

გულქვა ხარ! ჰამლეტი მაგას არასოდეს არ ჩაიდენდა! — გაკაპასდა ის.

— ვინაა, გოგო, ჰამლეტი? — შევიცხადე.

— ვინაა და, ჩემი პირველი შექვეყნებული.

შენი გულისთვის რომ მივატოვე! — ანა — შენ ის ხომ არ გეგონა, სერვანტესმა რომ დაწერა?! — უფრო შევიცხადა მან.

— რა დაწერა, გოგო, სერვანტესმა?! — კინადამ გავგიჟდი.

— ჰმ, შე უწიგნურო! დამეკარგე აქედან! არ განახოს ჩემმა თვალებმა!

ავდექი და დავეკარგე...

... უფრო ადრინდელსაც მოვახსენებთ: ბავშვობაში ბურთი ვის არ უთამაშია? პოდა, ერთხელ, ისეთი პასი მივიღე. ისეთი, თვით მიხეილ მესხიც ინატრებდა! გავქანდი კარისაკენ, მოვიქნე ფეხი და... მეწობლის ფინიას არ ვთხლიშე?!

იკვილა, მაგრამ რა იკვილა! (ძაღლის პატრონმა, თორემ ძაღლმა, იცოცხლეთ, მაშინვე მოგჭამათ ჭირი!) ის დედაბერი ერთი ღრჭუ შეინახა იყო და... მოკლედ, მანამ არ მოისვენა, სანამ სკოლაში ტყავი არ გამაძვრეს!

მერე მილიციაში და... სანამ იმ დედაბრისთვის ერთი წუნკალი ძაღლი არ მაყიდინეს (აქაოდა, ეგ ქალი უაღამიანოდ კიო, მაგრამ უძაღლოდ ვერ გაძლებსო), მომდგნენ და მე მაყუფეს ძაღლის მაგივრად!

... მერე, სტუდენტობისას, ცოფიანმა ძაღლმა მიკბინა და მეტრიანი ნემსებით (ახლაც მაურულოებს განსენებაზე!) ძლივს გადამარჩინეს გაცოფებას. ბოლოს, ეგ, თუმცა ყველაფერს ხომ ვერ იტყვის კაცის ენა!

პოდა, ვინ იცის, კიდევ რა მეღის ამდენი ძაღლების გადამკიდეს?

ზურაბ რატიანი

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



— შე გადლიანო, შენა! იქნებ შენი წყალოვით მაინც ვნახო ი ვერანა ბიჭი, „ჭიბულის“ ფულის წასაღებად რომ ჩამოვა. ჰა?!

ტაგუ მებაურიშვილი

ის დრო ნახილა

ის დრო წავიდა! — სინათლეს ბნელი დაუკლეს ზვარაკად, — როცა ქურდს ქურდი არ ერქვა და კაცს ეძახდნენ არაკაცს! კვლავ დიდხანს

იპარპაშებდნენ, — ახალი სიო რომ არა!.. დღეს ბევრ სოფელში შეხვდებით ნამდივნარს, ნათავმჯდომარალს! ქრთამისთვის, ძარცვა-

გლეჯვისთვის გაპანლურებულ — მოხსნილებს — შემოფლეთითა დიდება — ყალბი დიდებით მოსილებს! ნამდივნარ-ნათავმჯდომარალი ჩვენს თემშიც დადის — იონა, — ვინც სხვისი ოფლის ნაყურით ცხოვრება გაიიოლა.

ვითომცდა, თავი უსკდება ცოდნით! თოხს და ბარს თავილობს: მგელივით დაძრწის სოფელში და ეძებს ახალ საკბილოს! წინათ რომ სძულდა მჩივანა კაცი, დღეს თვით წერს საჩივრებს: „სხვას რომ არა სჯით ჩემნაირს, რაღა მე გამომარჩიეთ?!“ მაგრამ არავინ არ უსმენს ნათავმჯდომარალს, ნამდივნარს, ცხოვრებამ ნაარამევი სულ ძმარად ჩამოადინა! იონასთანებს ერთს გირჩევთ: ეძმეთ თოხს, სიცხეს ბაბანას! ნუ შიშობთ, ცოდვილთ არ გაწყენთ ოფლის ემბაზში განბანა!

ლომი თუ „მამალიგა“?

მს საქითხი ენათმეცნიერებისათვის დაგვიბრუნა! ჩვენ კი, დამსვენებლებთან ერთად, რომელთაც სანატორიუმებზე და დასასვენებელი სახლების ერთფეროვანი სადილები მოგზავრებით და აფხაზური ნაციონალური კერძები მონატრებით, ბზიფის ხეობაში გავისეირნოთ:

შანსაში შუაღვესი ანთია, შიგ შეფშარული ლევ მისხილის ძა ბანიბ ფუსფუსებს. ლომი ბუტბუტებს, ლობიო დუღს, შებოლილი ხორცი და ყველი კლიენტს ელოდება... კლიენტი კი ზის და ბზიფის ხეობის ჰაერს ყლაპავს. ეზოში აუზია, დორივით გასუქებული კალმახი ტბორშია ჩაწოლილი და ამვლელ-ჩამომვლელს ეელგამოწვდილი ეხვეწება, დროზე ამომართიეთ და შემჭამეთ, ასეთ ცხოვრებას გახურებულ ტაფაზე უოფნა მირჩევნიაო. სამზარეულოსთან შებოლილი მენიუა ჩამოკიდებული, აქ საღაროც შებოლილია. „მამალიგად“ მონათლული ლომი და ორი ნამცეცი ყველი მამასისხლად იუიდება! კალოზივით ხორცს და ლოქოსავით კალმახს. თბილისის მუსიკალური კომბინატის გამოშვებული პიანინოს ფასი ადევს. მიმტან-მომტანნი ტრადიციას არ ღალატობენ და ანგარიშსწორებას ზეპირად აწარმოებენ. თუ „ინტრიგანი“ კლიენტი შეხვდათ, დაუწერენ და ბოდიშსაც მოუხდიან: — „ჩვენ, მინერალური წყლის ნაცვლად, კონიაკი ვიანგარიშეთო“. გულაშთის რაბინის რამატორან „ბზიფის“ დირექტორი, ი. ნ. ხაბაში ადგილზე ვერ ვიხილეთ. სამაგიეროდ მიმტანმა პლა ნიკოლა-მამბ თავი გამოიღო. აქ ყველა დირექტორობს.

მართალი პნდაზაბა: უპატრონო ეკლესიას ეშმაკები და ეპატრონენო.

ბაბრაში კურორტავტრობის №4 მალაზია ავტონაწილებს თავისებურად ანაწილებს:

- საშაერო ფილტრი გაგრის სუფთა ჰაერივით მჭირდება, ხომ არა გაქვთ?
- არა.
- ზეთის ფილტრი?
- კარგა ხანია, არა გვქონია.
- ავტომანქანა „უიგული“ 0,8-ის საბურავი?
- როგორ გეკადრებათ!
- „ობლიცოვკა“?
- ღამცინი, შე კაი კაცო?! — შეკითხვაზე შეკითხვას გვაძლევს მალაზიის გამე, ამჟამად ჩვენს წინაშე გამყიდველის როლში მოვლენილი ოთარ პაპაძე.
- წვიმს და, იქნებ, შუშის საწმენდი მაინც გქონდეთ?
- ბოდიში, მაგრამ არც ეგ გვაქვს.
- რა გაქვთ? — იძულებულნი გავხდით, კითხვა შეგვებრუნებინა.
- რასაც ხედავთ!
- მაშინ საწყობში შეგვახედეთ! — ამას გზაზე დამდგარი ყველა გამვლელ-გამომვლელი ვერ შეხედავს ოთარს... საწყობში შეხვლის შემდეგ სულ სხვა სურათი დაიხატა. განმეორებით შეკითხვები აღარ დაგვირდა, ის, რაც მალაზიაში მოვიკითხეთ, აქ საკუთარი თვალით ვიხილეთ. უფრო მეტიც — მარჯვენა და მარცხენა ფრთები, იატაკზე დასაფენი ხალიჩები და სხვა. კუნჭულებში გადაშალულ-გადამალულის ძებნა აღარ დაგვიწყია. ძებნას გაგრძელება გაგრის კურორტავტრობის დირექციისათვის მიგვინდვია!


ატბსი წვრილმანი დაჭირდება სახლ-კარის პატრონ კაცს. აქ ახორტიმენტი ამოუწურავია. მისი ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. ზოგჯერ რა გჭირდება, თვითონაც არ იცი, მაგრამ მალაზიაში თვალსაჩინო, ადგილზე დადებულს რომ დაინახავ, შეიძენ. შეიძენ და სახლიც მიიტან, თუ შეგაძენინეს, მაგრამ საქონელი მრავალნაირია: ადვილად შესაძენი, დეფიციტური, გადაშალული. გადაშალული საქონელი წონაში მეტი მოდის და ფასიც შესაბამისი აქვს.

მშთაისის რაინა-პაპაშის მალაზია №5-ში (ბამბა-ბამბიღველი დ. გ. ჯანაშვილი) გახურებული ვაჭრობაა, მაგრამ აქ ყველასათვის ყველაფერი არ იყიდება. ზოგი რამ შემონახულია ტიხარს იქით, გადაშალული: სარეცხის ფხვნილი „ლოტოსი“, იატაკის იმპორტული საღებავი „ემალი“, სამღებრო ფუნჯი და სხვა. — საწყობი, — გვითხრა გამგემ, — ბევრი გვაქვს, იგი ქუთაისის სხვადასხვა ქუჩებზეა განლაგებული. მისამართი კარგად არ ვიცი. აბანოს იქით. აბანოს აქეთ, შუა ქალაქში, გარეთ...


საინტერესოა საწყობების მისამართების დადგენა და მათი დათვალიერება!

შანი სიხარულით,
რაზო ოსაზარშილი.
თიბურაზ ლანჩავა.

ნ. ხ. ფორჩხიძის



უსიტყვოდ



— დღეს მაინც მო-
იხსენი ჯვარი, კომპაპ-
შირში უნდა მივიღო!

ყურო, ნუ გაიბონებ!

ყუჩის გადასასვლელზე ჩამეძინა. იმ დროს მანქანების გაბმულმა საყვირებმა დამაფეთიანა!.. ეს ამბავი ფაცნობე ავტონისპექციას და დღემდე დადებითი პასუხი არ მიმიღია!

გ. ზ-ძე

ოღნავ ნასვამი გამოცხადლი კრებაზე, სადაც იხილავდნენ გეგმის შესრულებას. მე გამოვედი... სიმ-
ლური. მიყვარს, როცა კოლექტივში კარგი განწყობი-
ლება.

ახსნა-განმარტებითი ზარათიდან

ერთხელ, ვაუ-აუ შაველამ შესანიშნავად დაწერა „ბაში-აჩუკი“. აკაკის ეს არ ეჭაშნიკა და თვითონ შეთხზა ბრწყინვალედ. მჯობზე მჯობი არ დაილევა!

ახიტურიენტის შპარგალიდან

არტი-მრტი კვლევით ინსტიტუტში ჩამოვარდა ნიუ-
ტონის ვაშლი, რომელიც ხილის დამზადების კანტორამ
მიითვისა!

თქვენი კეთილის მხურველი

მიკროკოპიასა

თანამშრომელი: თქვენმა მოადგილემ თქვენზე თქვა, სუ-
ლელ...

დირექტორი: მოწმე?

თანამშრომელი: არა, მხოლოდ მე და თქვენი მოადგილე...

დირექტორი: ჰოო!

თანამშრომელი: არა გჯერათ?

დირექტორი: ოო, ოო!

თანამშრომელი: როგორ?!

დირექტორი: აბა, აბა!

თანამშრომელი: მე ჭეშმარიტებისათვის ვიბრძვი...


დირექტორი: აბა-პა-პა!

თანამშრომელი: რას შერებით, მღუპავთ?! მაპატიეთ!

დირექტორი: ვბრძანებ!

მდივანი: „გან-თა-ვი-სუფლ-დეს...“

აკთანდილ აღისეი



ნ. ხ. მამალიგაშვილისა

უსიტყვოდ

დიდი ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის უწყებები უთვალთვალებენ არა მარტო პროგრესულ მოღვაწეებსა და დემოკრატიულ ორგანიზაციებს, არამედ მთავრობის წევრებსაც კი და იწერენ მათ საუბრებს ტელეფონით.

როგორც „დეილი ექსპრესი“ იუწყებოდა, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ ვილსონი კონტრაზვერვის ობიექტი იყო. აგენტებს არაერთხელ მიუყურადღებიათ პრემიერ-მინისტრის ტელეფონით საუბრისათვის მისსავე რეზიდენციაში.

უსაფრთხოება ინგლისურად



ნახ. გ. ლომიძისა

მთავარი რედაქტორი ზურაბ გეგაზაშვილი სარედაქციო კოლეგია: ზ. გომეზაძე (მთ. რედ. პოადგილე), ზ. კაციანიანი, ჯ. ლოლა, გ. ლომიძე, ნ. ვალაშვილი (მხატვ. რედ.), გ. ნიჟინაძე, გ. სიხარულიძე (პ/გ. მლიქანი), გ. შირცხალავა, მ. ზელიძე.

© ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, © საბირისა და იურორის უზრუნველყოფის „ნიანგი“. © თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, საქართველოს კვ. ც.-ის გამომცემლობა, © გადაეცა ასაწყობად 6/IX-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/IX-77 წ., ქალაქის ზომა 70x108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 © საქართველოს კვ. ც.-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. © შეკვ. 2721. უფ. 00824. ტირ. 140.000 © Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». © Издательство ЦК КП Грузии. © Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ა. ადუგოვილი, გ. კონტრაძე, მ. მჭედლოშვილი, გ. ფირცხალავა, ს. ჯაფარიძე

662
77
24X

